

ხალი კამპანია, ძველი მოქმედი პირები

2009 წლის შემოდგომაზე თავისუფლების ინსტიტუტმა და მისმა სატელიტურმა ორგანიზაციებმა თუ ფიზიკურმა პირებმა კვლავ წამოიწიეს კამპანია ეკლესიისა და ჩვენი პატრიარქის წინააღმდეგ. 2004-2005 წლებში წარმოებული წარუმატებელი კამპანიის მიუხედავად, ფაქტობრივად, იგივე პირებმა წამოიწიეს ახალი კამპანია, რომლის მიზანიც იგივეა: ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის დისკრედიტაცია და ავტორიტეტის შეზღუდვა. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ პრესით გამოქვეყნებული ცნობა იმის თაობაზე, რომ მღვდელმთავრების მცირე ჯგუფმა (დასახელებული იყო 4 მღვდელმთავარი) პატრიარქს მოთხოვა გადადგომა. თუმცა საპატრიარქოს ა.წ. 24 დეკემბრის განცხადება ასევე შეეხება ამ თემას და მასში ნათქვამია, რომ 2009 წლის 19 ნოემბერის „ჯორჯიან თაიმსით“ დასახელებული მღვდელმთავრების მისამართით გავრცელებული ინფორმაცია არის ცილისწამება და გაზეთის გამომცემლისაგან ოფიციალურად მოითხოვენ ბოდიშის მოხდას. საპატრიარქოს განცხადება, საგრაუდოდ, დასახელებული მღვდელმთავრების მოთხოვნით გაკეთდა, თუმცა მასში არ არის დაზუსტებული, რომ გადადგომის მოთხოვნა საერთოდ არ ყოფილა თუ დასახელებულ მღვდელმთავრებს არ წაუყენებიათ ეს მოთხოვნა პატრიარქისადმი. აქვე აღვნიშნავთ, რომ უწმინდესთან შეხვედრა წყნეთში, რომელზეც გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ იყო სუბარი და რომელიც მღვდელმთავართა მცირე ჯგუფის მიერ იყო ორგანიზებული, საპატრიარქოს განცხადებით არ არის უარყოფილი, ანუ საგრაუდოდ ასეთი შეხვედრა შედგა.

ჩვენ არ შევუდგებით „ჯორჯიან თაიმსით“ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეზე მსჯელობას, არამედ აღვნიშნავთ, რომ ყველას გვახსოვს, თუ როგორ აქტიურად მონაწილეობდა დასახელებულთაგან სამი მღვდელმთავარი 2004-2005 წლებში ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში. ყველას ახსოვს, როგორ გამოაქვეყნეს გაზეთ "24 საათში" ღია მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სადმი, რაც წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიაში ტრადიციად დამკვიდრებული საპატრიარქო მმართველობის სინოდიალური მმართველობით შეცვლის აშკარა მცდელობას, რომლის მიზანი იყო პატრიარქის მმართველობის შეზღუდვა და ფორმალურად ქცევა. ისმის კითხვა, კი, მგრამ ამ ქმედებების გამო დასახელებულმა მღვდელმთავრებმა მოიხადეს ბოდიში ისევე საჯაროდ, როგორ საჯაროდაც ისინი თავიანთ განცხადებებს აკეთებდნენ (გაზეთი „24 საათი“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და ა.შ.)? ხომ არ აჯობებდა, რომ ჯერ მათ ეთხოვათ ეკლესიისთვის, უწმინდესისათვის და მთელი მართლმადიდებელი ერისთვის შენდობა თავიანთი ანტიეკლესიური განცხადებების გამო და შემდეგ მოეთხოვათ სხვებისგანაც იგივე?

ან იქნებ ჩვენ ვამეტებთ და დასახელებული მღვდელმთავრების მიერ ეკლესიის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმოსურნე საინფორმაციო საშუალებებით გაკეთებული განცხადებები სრულიად არ იყო, ისეთი, როგორადაც ჩვენ ისინი შევაფასეთ? ამაში დასარწმუნებლად ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გამოვაქვეყნოთ ჩვენი ერთი წერილი, რომლის გამოქვეყნებისაგანაც თავის დროზე თავი შევიკავეთ, იმ იმედით, რომ დასახელებული პირები გააცნობიერებდნენ თავიანთ შეცდომებს და მთელ თავის მომავალ საქმიანობას სინანულითა და უწმინდესისადმი ერთგულებით წარმართავდნენ. თუმცა ამასთან დაკავშირებით გაჩნდა არც თუ უსაფუძვლო ეჭვები, რაზეც ეკლესიისა და უწმინდესისადმი აგორებულმა ამ ბოლო დროინდელმა კამპანიამაც მიგვანიშნა. თავად მკითხველმა განსაჯოს ჩვენი შეფასებების სისწორე.

* * *

ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის შეფასება (2004წ. შემოდგომა – 2005წ. გაზაფხული)

გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული სამი მღვდელმთავრის - დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის, ფოთისა და ხობის მთავარეპოსკოპოს გრიგოლის და დიანელი ეპისკოპოს ზენონის - ღია მიმართვა (შემდგომში – სამთა მიმართვა) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სადმი წარმოადგენს მცდელობას, რომლის მიზანია საქართველოს ეკლესიაში ტრადიციად დამკვიდრებული საპატრიარქო მმართველობის შეცვლა სინოდიალური მმართველობით.

მიმართვაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებისთვის ხელსაყრელ ფონს ქმნის საქართველოში წარმოებული, ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციას. ამ მიზნით მასმედიის საშუალებებით ორგანიზებულად წარიმართა პროცესი, რომლის დროსაც საზოგადოებაში მკვიდრდებოდა აზრი, თითქოს ეკლესიაში არის კორუფცია, თითქოს საპატრიარქო განიცდის სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ზეგავლენას, თითქოს საპატრიარქოში არსებობს კორუფციული კლანი, თითქოს ეკლესიაში მოქმედებენ ძალისმიერი, ფანატიკური დაჯგუფებები. ეს აუიოტაუი დაავიწივინა მეუფე ზონონის მიერ სატელევიზიო გადაცემაში (რუსთავი 2) გაკეთებულმა განაცხადებამ იმის თაობაზე, რომ ეკლესიაში არის ქაოსი. ამ განცხადების ქვეტექსტი აცხადებს, რომ საქართველოს პატრიარქი, ფაქტობრივად, ვერ მართავს ეკლესიას და რომ მისი მართვის პირობებში ეკლესიაში სუფევს ქაოსი, კორუფცია და განუკითხავობა.

აღნიშნული მოვლენები - ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია, მასმედიით გაკეთებული განცხადებები, სამი მეუფის მიმართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი და მეუფე ზენონის განცხადება ეკლესიაში არსებული ქაოსის შესახებ – ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს და, ამ ლოგიკურობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ორგანიზაციულადაც.

სამთა მიმართვის პრეამბულაში მეუფეები ცდილობენ გაამართლონ მასმედიის საშუალებებით გაკეთებული თვითნებანი განცხადებები (რაც, სინამდვილეში, ხელს უწყობდა პოლემიკის გაღვივებას) (ციტატა): "ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ჯერ კიდევ არსებობს უხილავი კედელი, რომელიც აფერხებს უშუალო და გახსნილ ურთიერთობებს, რაც დღემდე რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად საზოგადოების განვითარების გზაზე. ამისკენ იყო მიმართული ჩვენი პუბლიკაციები და ინტერვიუები, რომელშიც ჩამოყალიბებულია ჩვენეული ხედვა . . . ჩვენს მიერ გამოთქმულმა შეხედულებებმა, რომლებიც სრულ თანხმობაშია ეკლესიის მოძღვრებასთან და საეკლესიო ტრადიციებთან, დაიმსახურა საზოგადოების უმრავლესობის მოწონება და მხარდაჭერა" (ციტატის დასასრული). როგორც აღმოჩნდა, ეს შეხედულებები არც საეკლესიო მოძღვრებასთანაა სრულ თანხმობაში და არც საზოგადოების მოწონება დაუმსახურებია. ამაზე ქვემოთ.

სამთა მიმართვის პრეამბულაში ასევე არის მცდელობა მტრის ხატის დახატვისა (ციტატა): "გარკვეულმა ძალებმა მიზნად დაისახეს ყურადღების გადატანა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემებიდან მათ მიერვე შეთხზულ ჭორებზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ თითქოს მზადდება საქართველოს ეკლესიის მეთაურის გადაყენება და იწყება მართლმადიდებლობის დევნა . . . ზემოთ აღნიშნული ძალების სურვილია სწორედ რომ არ დაუშვან საქართველოს ეკლესიის გაძლიერება და მისი მართვის ტრადიციული სისტემის ამოქმედება . . . ასეთ ვითარებაში ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ის აღვირახსნილი კამპანია ქართულ პრესაში, რასაც ნამდვილად ვერ ვუწოდებთ პოლემიკას" (ციტატის დასასრული). როგორც ციტატიდან ჩანს, მეუფეების თვალსაზრისით ეკლესიის მართვის ტრადიციული სისტემა ჯერ არ ამოქმედებულა და გარკვეული ძალები სწორედ მის ამოქმედებას ეწინააღმდეგებიან. თუ რას გულისხმობენ

მეუფეები ეკლესიის "მართვის ტრადიციული სისტემის ამოქმედებაში", ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ის, რომ პრესაში და ტელევიზიაში წარმოებლი პოლემიკა ცილდება საერო და საეკლესიო ეთიკის ნორმებს, ეს ნათელია. უპირველეს ყოვლისა დასაგმობია სასულიერო პირების, მეტადრე იერარქების მიერ საერო გაზეთებითა და ტელევიზიით საეკლესიო საკითხებზე საუბარი და პოლემიკის წარმოება, ეკლესიის სინოდთან და საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად. ხშირად ამ მისაზრებებში ეკლესიის, სინოდისა და საპატრიარქის საწინააღმდეგო პოზიციები ფიქსირდებოდა, ასევე გაკეთებული შეფასებები და განცხადებები ხშირად ცილდებოდა საეკლესიო სამართლის ნორმებს და შეიცავდნენ ეკლესიის საწინააღმდეგო სწავლებებს. თუ წარმოებულ პოლემიკასა და მოპაექრეთა დაპირისპირებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ სასულიერო პირების მიერ გაკეთებული განცხადებები და ქმედებები წინ უსწრებდნენ მათ საპირისპირო განცხადებებს, რომელშიც, ფაქტობრივად, წარმოადგენენ საპასუხო რეაქციებს აღნიშნულ განცხადებებზე.

მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რა განცხადებებს აკეთებდა დასახელებული სამი იერარქი ერთად თუ ცალკე-ცალკე პრესით, ტელევიზიითა და პრესკონფერენციებით.

განცხადებების ერთ წყებაში გამოთქმულია სინანული საქართველოს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან (შემდგომში – ემს) გამოსვლასთან დაკავშირებით:

“რაც შეეხება იზოლაციონიზმს, ამ ხრივ მართლაც არსებობს გარკვეული პრობლემები. საქართველოს ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან და ევროპის კონფერენციიდან გამოსვლის შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესია აღარ მონაწილეობს იმ პროცესებში, რომლებიც მიზნად ისახავენ მართლმადიდებელი ქვეყნების წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტას და ჩამოშორდა იმ ნაბიჯებსაც, რომლებიც ქრისტიანთა ერთობის აღდგენისაკენაა მიმართული. სამწუხაროდ, ბოლომდე არაა გაცნობიერებული, რომ ქრისტიანთა ერთობა ერთ ეკლესიაში, როელსაც ჩვენი მრწამსი მართებულად უწოდებს ერთს, წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიას, არის უფლის უზენაესი ნება. ამ უზენაესი ნების აღსრულება ევალება აბსოლუტურად ყველას . . . ჩვენში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მორწუნენი თავიდანვე გადაჭრით უარყოფენ ქრისტიანთა ერთიანობის თვით იდეას. ხშირად ამბობენ, რომ ვინც დიალოგში შედის არამართლმადიდებლებთან, მოდალატეა.” (მეუფე აბრაამი, “24 საათი”, №35 (584), 12 თებერვალი, 2004 წ.)

“წმიდა წერილში არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, დოქტრინა ქრისტიანთა ერთობის შესახებ. (ამეუფე ბრაამი, “რეზონანსი”, № 41, 16 თებერვალი, 2004 წ.)

“ჩემი საზოგადოება აბსოლუტურად არ არის ინფორმირებული, რას წარმოადგენდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და რა ადგილი ჰქონდა იქ საქართველოს ეკლესიას . . . საბჭოში მართლმადიდებლები თავის სარწმუნოებას ამოწმებენ (დამოწმება) . . . ეკლესიათა მსოფლიო საბჭო თუ მწვალებლობაა, მაშინ მწვალებელი ყოფილა მთელი მართლმადიდებელი სამყაროც. როდესაც ვამბობთ, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო მწვალებლობაა, ამ რანგში მთელ მართლმადიდებელ ეკლესიებს ვაყენებთ . . . მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში გადაწყვეტილებებს კრებაზე იღებენ, ამას მსოფლიო კრება ეწოდება. სწორედ ამ ორგანოში დგინდება ჭეშმარიტება . . . არამართლმადიდებლების ეკლესიაში დასაბრუნებლად ყველა ადგილობრივი ეკლესია სხვადასხვაგვარ წესს ადგენს. ანუ მსოფლიო ეკლესიას არ შეუძლება და არ უთქვამს, რა არის მისი სახელმძღვანელო ამ საკითხის გადაწყვეტაში. . . ჩეთვის არანაირ ავტორიტეტს არ წარმოადგენს არც ის მღვდელი და არც ის მღვდელმთავარი, რომელიც გადაჭრით ამტკიცებს, რომ საბჭოში ყოფნა უფლის შეურაცხყოფაა და მართლმადიდებლობის დალატია. პიროვნებების ეს ნააზრევი სრულიად გაუცხოებულია ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლმხედველობასთან . . . თუ რაიმე

დიალოგში დსთ-ს მასშტაბით შეიძლება მონაწილეობა, მსოფლიო მასშტაბითაც შეიძლება. მხოლოდ საქართველოს ეკლესიამ უნდა განსაზღვროს, სად იიღებს მონაწილეობას და სად არა." (მეუფე ზენონი, "24 საათი", №75, 30 მარტი, 2004 წ.)

მოყვანილი მოსაზრებების მცდარობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ემს-ში მართლმადიდებელთა მხრიდან ჭეშმარიტების არავითარ დამოწმებას არა აქვს ადგილი. ემს-ს კონსტიტუციითა, იდეოლოგიური დოკუმენტებითა და მრავალი დადგენილებით ემს-ში აკრძალულია ქადაგება, დამოწმება თუ პროზელიტიზმი. დაშვებულია მხოლოდ პლურალიზმი და კონსენსუსი, ასევე კომპრომისების გზით კონფესიათა კონვერგენცია (დაახლოება და შერწყმა). ეკუმენისტურ დოკუმენტში "საერთო მოწმობა და პროზელიტობა" დაგმობილია ერთი აღმსარებლობიდან მეორეზე გადასვლა და მომავლისათვის დაგეგმილია სახარების ერთობლივი ზეკონფესიური ქადაგება. ემს-ს პრინციპებს განმარტავს ეკუმენისტი პროფესორი ზენკოვსკი: "ცხონება შესაძლებელია ნებისმიერ არამართლმადიდებელ აღმსარებლობაში. ხოლო თუკი რომელიმე არამართლმადიდებელი დაუტევებს თავის კონფესიას და სხვა ეკლესიაში გადავა, თუნდაც მართლმადიდებლურში, მაშინ მისი ცხონება შეუძლებელი (!) გახდება".

ემს-ს პრინციპები და დებულებები უარყოფენ მართლმადიდებლურ დოგმატს ეკლესიის შესახებ. ემს აღიარებს ეკლესიათა სიმრავლეს, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი ღირსებები, შესაძლებლობები და უფლებები: "ეკლესიათა მსოფლიო საბჭო – ესაა ეკლესიათა ძმობა", (ემს-ის კონსტიტუცია, I. ბაზისი), "ეკლესიები – ეკუმენისტური მოძრაობის წევრები" (ემს-ს სპეციალური კომისიის დასკვნითი ანგარიში). ეს დებულებები წარმოადგენენ მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის უარყოფას. რაც შეეხება ქრისტიანთა ერთობას, ეკუმენიზმი სახარებისეულ ერთობას ქრისტეს ეკლესიაში ცვლის კონფესიათა ერთობით ანტიქრისტეს ეკლესიაში. ემს-ს V ანსამბლეაზე ნაირობში (1975 წ.) კონფესიურ ადგილობრივ ეკლესიათა ერთიანობის შესახებ შემდეგი განმარტება მიიღეს: "ყოველი ადგილობრივი (იგულისხმება – კონფესიური) ეკლესია ფლობს კათოლიკობის სავსებას, მოწმობს ერთსა და იმავე სამოციქულო სარწმუნოებას, რითაც აღიარებს სხვების კუთვნილებას ერთი და იგივე ქრისტეს ეკლესიისადმი. ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, ვინაიდან ერთი და იგივე ნათლისღება მიიღეს და ერთი და იგივე ევქარისტია აქვთ. ისინი აღიარებენ სხვების წევრობასა და იერარქიას."

მეუფეების მოყვანილ ციტატებში ვხვდებით შემდეგ ცდომილებასაც: ადგილობრივ ეკლესიათა მონაწილეობა ემს-ში ასახავს საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს და არ უნდა განიხილებოდეს ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით. მეორეს მხრივ, იერარქთა პოზიციების გაიგივება ეკლესიის პოზიციებთან ეწინააღმდეგება ეკლესიის სისავსის ცნებას. ამიტომ მტკიცება, რომ ემს-ს წევრი ადგილობრივი ეკლესიები მწვალებლობაში არიან, არ არის მართებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობისას მართლმადიდებელთა შორის პროტესტანტული სულისკვეთება იკიდებს ფეხს და საზიანოა ეკლესიისთვის. ბულგარელი მღვდელი ვსევოლოდ შპილერი აღნიშნავს: "ბულგარეთის ეკლესიისთვის ეკუმენიზმთან შეხვედრა ნიშნავდა ეკლესიურობის შეგნების, ერთადერთი მაცხოვრებელი ეკლესიის შეგნების შერყევას. ამას მოჰყვა ეკლესიის ცნობილი გამიწიერება. სულიერი ცხოვრების დონე დაეცა, წმიდა მამების ტრადიციას დავშორდით, როგორც ღვთისმეტყველებაში, ასევე ყოფაში. საფუძველში შეირყა ლიტურგიკული საღვთისმსახურო ტრადიციის ერთგულება. სწორედ ეკუმენიზმთან შეხვედრის შემდეგ დაიწყო ბულგარეთში რიტუალების მავნეობაზე, მის ჰიპერტროფიაზე ლაპარაკი (ანუ ღვთისმსახურების შემოკლებისაკენ სწრაფვა)."

დსთ-ს ფარგლებში რელიგიური ჯგუფების შეკრებებს ნამდვილად არა აქვს ის ლატვირთვა, რაც ემს-ს შეკრებებს. დსთ-ს ინტერრელიგიურ სამიტებს არა აქვს მიზნად დასახული პანეკუმენისტური ერთიანობის მიღწევა და რელიგიური სინკრეტიზმი. თუმცა

მასში მინაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის დასმა შესაბამისი არგუმენტაციით შესაძლებელია.

რაც შეეხება მეუფე ზენონის მიერ გამოთქმულ მწვალებლურ მოსაზრებას, რომ ემს-ს კრებებზე ჭეშმარიტება დგინდება, ვიმედოვნებთ, რომ აქ სამწუხარო გაუგებრობას აქვს ადგილი. მაგრამ გაუგებრობის გაბათილებას თავისი წესი აქვს: უნდა მომხდარიყო მეუფის მიერვე იმავე გაზეთში დაუყოვნებლივ მტკიცე უარყოფა თქმული ცდომილებისა და შესაბამისი განმარტების გაკეთება ეკლესიის სწავლების მიხედვით, რათა საზოგადოების ცნობიერებაში დაღეჭილი და სულისთვის საზიანო მწვალებლური სწავლება სასწრაფოდ და საყოველთაოდ ყოფილიყო უვნებელყოფილი. სამწუხაროდ ასეთი ქმედება არ განხორციელებულა.

მოსაზრებათა სხვა წყება შეეხება სხვა კონფესიებთან ურთიერთობებს. მეუფეების ზოგიერთ მოსაზრებაში გამოსჭვივის სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაიშალა ვატიკანსა და საქართველოს შორის შეთანხმებაზე ხელმოწერა. (თუმცა ამ ფაქტთან დაკავშირებით მეუფე ზენონს განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნია). უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკლესიამ უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა, რადგან ამ შეთანხმებით რომის ეკლესია იძენდა წარმოუდგენლად დიდ პროზელიტურ სივრცეს და თავისი უფლებებითა და შესაძლებლობებით აჭარბებდა კიდევ მართლმადიდებელი ეკლესიის შესაძლებლობებს საქართველოში. მეუფე ზენონს აქვს გამოთქმული საკვებით სამართლიანი შენიშვნა რომის ეკლესიისადმი, რომ თუკი კათოლიკური ეკლესია აღიარებს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასაც მიჰყავს სული ღმერთთან, მაშინ რატომღა ცდილობს თავისი ეპარქიების დაარსებას საქართველოში?

მეუფე აბრაამი ბრძანებს: "მე მინდა გავისვენო თუნდაც შეხვედრა ქრისტიანთა ერთობის საპაპო საბჭოს თავმჯდომარესთან, კარდინალ კასპერთან გასული წლის სექტემბერში. ჩვენ მივალწიეთ შეთანხმებას, რომ 2003 წლის ბოლომდე გადმოგვეცეოდა ბრიუსელში საკათედრო ტაძრისა და რეზიდენციისათვის საჭირო ნაგებობა. ეს შეთანხმება მოხდა საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის ხელშეკრულების ჩაშლამდე ერთი კვირით ადრე. მე ვერ ვიტყვი, რომ ბრიუსელში საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა რომის ეკლესიის მხრიდან რაღაც შურისძიების გამო. უბრალოდ, ჩვენ თვითონ ჩავვარდით ისეთ დელიკატურ მდგომარეობაში, რომ ჯეროვნად ვეღარ ვმონაწილეობთ მოლაპარაკებაში. (კორესპონდენტის კითხვაზე: "პრაქტიკულად საქართველომ უარი უთხრა კათოლიკურ ეკლესიას იმაზე, რასაც თვითონ ითხოვს თავისი მრევლისთვის დასავლეთ ევროპაში" მეუფე პასუხობს: "უფიქრობ, ასეთი დაკავშირება შესაძლებელია." (მეუფე აბრაამი, "24 საათი", №35 12 თებერვალი, 2004 წ.).

მოყვანილ ციტატაში არის მინიშნება რომის ეკლესიის სადამსჯელო ქმედებაზე. ანგარებითი დამოკიდებულების საჩვენებლად მოვიყვანოთ დეკ. გიორგი ჩაჩავას მოსაზრება: "მეუფე აბრაამმა ბევრის გაკეთება მიახერხა გერმანიის კათოლიკური ეკლესიის დახმარებით – აცხოვრეს, საკვები მისცეს . . . მაგალითად ბელგიის მთავრობა შეგვიპირდა, რომ ჩვენს მღვდელს 1000 ევროს გადაუხდის ხელფასს, მაშინ, როდესაც, იცით, რომ ჩვენ საქართველოში "ხოზდაფინანსებაზე" ვართ. არის რუსული ანდაზა "Из песни слов не выкинешь". ამიტომ ჩვენც ჩვენი მხრიდან რაღაც შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადავდგათ" (თბილისელები, №24, 2004 წ.). რა შემხვედრ ნაბიჯებზეა საუბარი? ისეთებზე ხომ არა, რომლებიც ზღუდავენ ჩვენი ეკლესიის ინტერესებს, როგორც ეს ვატიკანთან გასაიდუმლოებულ ვითარებაში დასადებ შეთანხმებაში იყო ფორმულირებული? საქართველოს ეკლესიის წევრები ასეთ ნაბიჯებს ვერ მივესალმებით, თუნდაც მისკენ ზოგიერთი მღვდელმთავარი და მღვდელი შფარულად თუ ღიად მოგვიწოდებდეს.

მოსაზრებათა სხვა წყება შეეხება საქართველოს ევროპულ ორიენტაციას:

"მიუხედავად იმისა, რომ მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებით განსხვავებებს ქონდა ადგილი, საქართველოს ეკლესიის მესვეურნი მაინც ერთგულნი იყვნენ ევროპული ორიენტაციისა" (მეუფე აბრაამი, "24 საათი", №86, 13 აპრილი, 2004 წ.).

"ჯერ კიდევ 1997 წელს, როცა ჩვენა ეკლესიამ სოფლიო საეკლესიო საბჭო დატოვა, არა მარტო რელიგიური, არამედ პოლიტიკური მოღვაწეებიც გვეკითხებოდნენ: თქვენი პრეზიდენტი აღიარებს დასავლურ ორიენტაციას, ამასთან ამბობთ იმასაც, რომ ქართველ მართლმადიდებლებს, ანუ მოსახლეობის 90 პროცენტს არ სურს ამ გზაზე სიარული – გაგვაგებინეთ, ვინ ტყუის, პრეზიდენტი თუ ეკლესია." (მეუფე აბრაამი, "24 საათი", №35 12 თებერვალი, 2004 წ.)

ამ საკითხზე მსჯელობის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს აქვს განსაკუთრებული დამაკავშირებელი როლი და ფუნქცია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მენტალობის თვალსაზრისით რაციონალიზმის გზაზე შემდგარი ევროპისაგან განსხვავებით ქართველ ხალხს, ქართულ სულს მეტად აქვს შენარჩუნებული მისტიციზმის თვისებები, ღმერთშემეცნების ინტუიცია და სულიერი ხედვის უნარი. კულტურის თვალსაზრისით, ქართული ორიგინალური შემოქმედება და ხელოვნება წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ერთგვარ შეხვედრის ადგილს, გზაჯვარედინს, რომლიდანაც მოხანს როგორც დასავლეთის რაციონალისტური და ნატურალისტური ხელოვნება, ისე აღმოსავლეთის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მისტიკურობა. ამ განსაკუთრებული როლის უგულვებელყოფა საქართველოს აქცევს ევროპის უსახურ დანამატად. მით უმეტეს, ევროპული ინტეგრაცია არ უნდა ზღუდავდეს მართლმადიდებლობასა და ქართველი ერის თვითმყოფადობას, არ უნდა მოითხოვდეს სარწმუნოებრივ კომპრომისებს და ეკლესიოლოგიურ საკითხებში ჩარევას. სხვა მხრივ საქართველოს ეკლესია არ ეწინააღმდეგება დასავლეთთან ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს.

მოსაზრებათა ერთი წყება შეეხება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის დაპირისპირებას. ისტორიულ ჭრილში ეს წინააღმდეგობა ახსნილია ზედაპირულად. დოგმატურ საკითხებზე დაპირისპირებასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება პოლიტიკურ ფაქტორებს:

"შედგომ ბიზანტიასა და რომს შორის უთანხმოებები დაიწყო. შედეგად მივიღეთ ის, რომ პოლიტიკური მსჯელობა გადაიზარდა დოგმატურ საკითხებზე კამათში, რასაც ეკლესიათა შორის უფრო და უფრო მეტი დაშორება მოჰყვა. შემდგომ, რომის ეკლესია, რომელიც თავად იყო მართლმადიდებლური პრინციპების მატარებელი, გამოეყო აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიას." (მეუფე ზენონი, "რეზონანსი", №42, 17 თებერვალი, 2004 წ.)

"ლათინურ დასავლეთში ეკლესიამ მიიღო ბერძნული აღმოსავლეთისაგან განსხვავებული სახე. საბოლოოდ ამას მოჰყვა ბერძნული მართლმადიდებლობისა და ლათინური კათოლიკობის დაპირისპირება, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია განხეთქილება იმის გამო, რომ ორივე მხარე მიიჩნევდა მხოლოდ თავის გზას აბსოლუტურად და ცდილობდა ის თავს მოეხვია მეორისათვის, როგორც ერთადერთი სწორი . . . ყოველივე ამას არ უნდა მიეყვანა საქმე განხეთქილებამდე, მაგრამ ამან ხელი შეუწყო მას, ვინაიდან არსებული განსხვავებები აღიქმებოდა არა როგორც მრავალფეროვნება და ურთიერთშევესება, არამედ როგორც შეუთავსებელი წინააღმდეგობა . . . დიალოგის სიმძიმე, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ ძალზე ხშირად დიალოგში მონაწილე თითოეული მხარე ხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევს ჭეშარიტების დაცველად . . . 1965 წლის 7 დეკემბერს ორივე მხარემ საზეიმოდ ერთდროულ ცერემონიებზე რომში და კონსტანტინეპოლში უკან გამოიწვიეს 1054 წლის ანათემები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1054 წლის ანათემები იყო მიმართული ცალკეული პიროვნებების წინააღმდეგ და არა მთლიანად ეკლესიების მიმართ.

მართალია, ამ სიმბოლურ ნაბიჯებსაც არ მოჰყოლია ევქარისტიული კავშირის აღდგენა . . . დგომარეობას ართულებს იმ ფსიქოლოგიური ბარიერის არსებობა, რომელიც წარმოიშვა გასული საუკუნეში კათოლიკეთა და ართლმადიდებელთა შორის განვითარებული კონფლიქტების გამო პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ხორვატიაში, უკრაინაში". (მეუფე აბრაამი, "რეზონანსი", № 41, ორშაბათი, 16 თებერვალი, 2004 წ.)

რომის ეკლესიამ უარყო სახარებისეული სწავლება და მიიღო მწვალებლური სწავლება, რის გამოც დიალოგი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის თითქმის ორი საუკუნე გაგრძელდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურულ იქნა ყველა შესაძლებლობა, საშუალება და იმედი, კონსტანტინოპოლის ეკლესიამ ანათემას გადასცა რომის ეკლესია და არა რომელიმე პიროვნება, როგორც ამას მეუფე აბრაამი გვთავაზობს. ეს ანათება ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ მიიღო, განსხვავებით ათინაგორას მიერ ანათემის გამოწვევისა, რომელიც არც ერთ ადგილობრივ ეკლესიას არ მიუღია. შესაბამისად, 1054 წლის ანათემა ძალაშია.

რაც შეეხება დიალოგს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ უნდა თქვას უარი თავის მისიონერულ მოღვაწეობაზე, უნდა აწარმოოს დიალოგი და ჭეშმარიტების დამოწმება იქ, სადაც ეს, ემს-გან განსხვავებით, შესაძლებელია. რაც შეეხება კონფლიქტებს პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ხორვატიაში და უკრაინაში, ეს იყო არა ორმხრივი დაპირისპირება, არამედ ინკვიზიცია, კათოლიკების მიერ მართლმადიდებლებზე განხორციელებული აგრესია, დევნა, ფიზიკური განადგურება და ტაძრებისა და მონასტრების მიტაცება. კათოლიკებმა მათ ცნობიერებაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ძალისმიერი სტილი მართლმადიდებლებთან ურთიერთობისა ჯერ ვერ დაძლიეს, რაც, რა თქმა უნდა, ართულებს მათთან ურთიერთობასა და დიალოგს. რაც შეეხება მეუფე აბრაამის მოსაზრებას, რომ, თურმე, რომის ეკლესიის მიერ ფილუოკვესა (სულიწმიდის ძისგან გამომავლობა) და სხვა დოგმატური ცდომილებების შემოდება არის არა მწვალებლობა, არამედ „მრავალფეროვნება და ურთიერთშევესება“, არის არა მართლმადიდებელი მღვდელმთავრის, არამედ ეკუმენისტური ცნობიერების მქონე პიროვნების მსჯელობა და ასეთი პიროვნებისაგან არცაა გასაკვირი მოწოდებები საქართველოს ეკლესიის ეკუმენისტურ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

აღნიშვნის ღირსია მოსაზრებების ის რიგი, რომლებიც შეეხება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას.

"კომუნისტური რეჟიმისადმი ლოიალობის გამო ეკლესია ახერხებდა სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებას, მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია ამის გაკეთება დღეს, როცა არსებობს კონსტიტუციური შეთანხმება," (მეუფე გრიგოლი, გაზეთი 24 საათი, 26 ივნისი).

საქართველოს ისტორიის საუკეთესო ფურცლები თვალნათლივ აღწერენ იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მართლმადიდებლობის სიწმინდის დაცვასთან. სახელმწიფოს სწორედ ამ სტრატეგიულ და ქრისტეს ეკლესიის ამ ფუნდამენტურ ინტერესებს იცავდა საქართველოს ეკლესია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. დღეს კი პროტესტანტული ცნობიერების მქონე სასულიერო პირების მხრიდან გაისმის მოწოდებები ხელისუფლებისადმი და მისი სამსახურებისადმი, რომ ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეებში და ძალით დაამყაროს იქ "წესრიგი" – გაატაროს პროტესტანტული რეფორმები. ვფიქრობთ, ხელისუფლება არ აჰყვება სასულიერო პირთა ამ მცირე ჯგუფის ამ პროვოკაციულ მოწოდებებს, თუკი ეს მისივე დაკვეთით არ კეთდება.

მეუფე გრიგოლი სხვა გამონათქვამებში აშკარად გაისმის ლუსტრაციისა თუ მუქარის ტონი:

"კარგი იქნებოდა თქვენი მამამთავრული კურთხევით (მიმართავს პატრიარქს) წმიდა სინოდის ყველა წევრს, მეტი სიცხადისათვის, თავისი ზრი გამოეთქვა ამ საკითხზე

(იგულისხმება ემს-ში გაწვევრიანება არგაწვევრიანებასთან დაკავშირებით) წერილობით და ამის შემდეგ, სული წმიდის მადლით, მომხდარიყო პროციების შეჯერება" (გაზეთი 24 საათი, 26 ივნისი)

"მოვლენები ისეთ განვითარებას იძენს, რომ თვით სახელმწიფო აქტიურად დაინტერესდება ამით და ბასილ მკალავიშვილის მაგალითის მიხედვით ძნელი არ უნდა იყოს იმის ვარაუდი, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას; შემდეგ კი დაიწყება ახალი მითქმა-მოთქმა, რომ აი, დაიწყო საქართველოში მართლმადიდებელთა დევნა" (გაზეთი 24 საათი, 26 ივნისი).

ვინც ამირან (მეუფე აბრაამის ერიკაცობის სახელი) მამიას ძე გარმელიას ცხოვრების პერიპეტიები იცის, მას არ გაუკვირდება საბჭოური გარკვეული სამსახურებისათვის დამახასიათებელი ასეთი მუქარის ტონის არსებობა მის წერილებში. მუქარის ადრესატის ამოცნობაც არ არის ძნელი. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასეთ განცხადებებს შეიძლება მოჰყვეს მკვეთრი საპასუხო და ბრალდებითი განცხადებები. ამიტომ მეუფეთა გამონათქვამები შეიძლება შეფასდეს როგორც მაპროვოცირებელი, რამაც ხელი შეუწყო საერო საინფორმაციო საშუალებებით წარმოებულ არაჯანსაღ პოლემიკასა და შფოთს.

საეკლესიო სამართლის სივრციდან ამოვარდნილობის ნიმუშია სამი მეუფის საჯარო მიმართვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიმაღლმდგ. ამ მიმართვაში სამართლიან შეფასებებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასთან და ძირძველი ქართული ეპარქიების ანექსიასთან დაკავშირებით, მოჰყვა მოწოდება რუსეთის ეკლესიასთან ექვარისტიული კავშირის გაწყვეტის შესახებ. პირველ რიგში, პოლიტიკური მოტივებით ექვარისტიული კავშირის გაწყვეტა რომელიმე ადგილობრივ ეკლესიასთან საეკლესიო სამართლით არ არის მიღებული. მეორეც, რუსეთის საპატრიარქოსა თუ იერარქთა ჯგუფის პროციებისა და პოლიტიკური შეხედულებების გაგრძელება მთელს ეკლესიაზე დაუშვებელია. მესამეც, რუსეთის ეკლესია არის ერთიანი ეკლესიის შემადგენელი ნაწილი და მისი მოკვეთა ამ ერთობიდან მთელი ეკლესიის გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთის ეკლესია მთელი სისავსით მიიღებს მწვალებლურ სწავლებას, მაგალითად ეკუმენისტურს.

თუ მოყვანილ განცხადებებსა და მიმართვებს, როგორც ქმედებებს, საეკლესიო სამართლის პროციიდან შევაფასებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეუფეების აბრაამის, გრიგოლისა და ზენონის მხრიდან ადგილი ჰქონდა დიდი სჯულის კანონის იმ პუნქტების მრავალჯერად დარღვევას, რომლებიც შეეხება სხვა ეპარქიაში ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის შეთანხმებული ამ ეპარქიის ეპისკოპოსთან (მით უფრო, თუ ეპარქიის მეთაური თავად პატრიარქია), განსაკუთრებით კი ისეთ ქმედებებს, რომლებსაც მოჰყვა შფოთი და დაძაბულობა ამ ეპარქიაში.

კერძოდ: ა) ანტიოქიის წმიდა ადგილობრივი კრების მე-11 კანონით: "უკეთუ ეპისკოპოსი . . . სამხარეო ეპისკოპოსების და მით უფრო სამიტროპოლიტო ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე მივიდეს მეფესთან (დღევანდელი გაგებით – ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან) – ასეთები დაე, განიკვეთონ, ვითარცა კალნიერებით წინააღმდეგომნი საეკლესიო კანონებისა"; ბ) "ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის და ამით შფოთი შეაქვს, ხალხის გულისმოგებით მათ შემწეობას იყენებს, იგი სიცოცხლის ბოლომდე უზიარებელი უნდა იყოს" (სარდიკიის წმიდა ადგილობრივი კრების კანონები 1-3); გ) "ყოველი ერის ეპისკოპოსი ჯერ არს ცნობდეს მათ შორის პირველს და აღიარებდეს მას, ვითარცა მეთაურს. და მათ ძალაუფლების გადამეტება არა ჰყონ, გარეშე მის ზრახვისა" (მოციქულთა 34-ე კანონი) და ა.შ.

ახლა დაეუბრუნდეთ სამთა (მეუფეები აბრაამი, გრიგოლი და ზენონი) მიმართვას პატრიარქისადმი და იმას, თუ რას გულისხმობენ მეუფეები ეკლესიის მართვის ტრადიციული სისტემის აღდგენაში. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ სამი მღვდელმთავრის მიმართვა საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებისადმი (შემდგომ – სამთა მიმართვა), ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება შეფასდეს, როგორც შიდა საეკლესიო გადატრიალების მცდელობა. "პარლამენტარიზმის" უნით შეპყრობილი ხსენებული სამი მღვდელმთავარი, რომელიც განვლილ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებულ ეკუმენისტურ შეთქმულებასა და ანტიეკლესიურ კამპანიაში, მიუხედავად ხსენებული კამპანიის წარუმატებლობისა, იწყებს ახალ კამპანიას, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს ეკლესიის ტრადიციული მართვის მოდელის შეცვლა, უწმინდესის ჩამოშორება მართვის სათავეებიდან, მისი ფორმალურ ფიგურად ქცევა და, საბოლოოდ, მისი მოშორება.

ამ "სავერდოვან" გადატრიალებას სამი მღვდელმთავარი ეკლესიის მართვის ტრადიციული სისტემის აღდგენას უწოდებენ. სინამდვილეში კი, რაზეც მიმართვის პრეამბულა და პუნქტობრივი მოთხოვნების შინაარსი მიუთითებს, საუბარია საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ტრადიციად ჩამოყალიბებული, წმ. ვახტანგ გორგასლის მიერ ქართლის კათალიკოსად წმ. პეტრე კათალიკოსის მოწვევისა და დადგენის დროიდან მოყოლებული, სულიერი ბრძოლით მოპოვებული და მრავალ პატრიარქთა მოწამებრივი სისხლითა და მართლმკვეთელური დეაწლით განმტკიცებული საპატრიარქო მმართველობის სინოდიალური მმართველობით შეცვლაზე. მიმართვის მთავარი სიცრუე მდგომარეობს 1995 წლის 18-19 სექტემბერს მიღებული ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების იმ პუნქტის არასწორ განმარტებაში, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს ეკლესიაში უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის წმინდა სინოდს, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ საქართველოს ეკლესიის მართვის ტრადიციული მოდელი - საპატრიარქო მმართველობა - გულისხმობს, რომ სინოდის სხდომებს შორის ეკლესიის მართვას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ახორციელებს. სამთა მიმართვით შემოთავაზებულ მოდელში კი სინოდის მართვას ე.წ. კომისიები აწარმოებენ, მათ შორის, ძირითადად, მთავარი სამდივნო, რომელიც საბჭოური პოლიტიკურის ანალოგს წარმოადგენს ეკლესიაში. თუ ეს მოდელი განხორციელდა, საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი ბუტაფორიად იქცევა. ამის შემდეგ დღევანდელი პატრიარქის ეკლესიიდან მოშორებას წინ არაფერი დაუდგება.

მეუფეები პატრიარქის წინაშე აყენებენ 11 მოთხოვნას. აი, ზოგიერთი მათგანი:

"1. წმიდა სინოდის სამდივნოს შექმნა. ამის განხორციელება მკვეთრად გაზრდის და გააუმჯობესებს სხდომების მომზადებისა და ჩატარების ხარისხს; ასევე გაუწევს კონტროლს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. მიგვაჩნია, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ობიექტურ მიზეზთა გამო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ორგანულად დამახასიათებელმა კრებითობამ, რაც ასახულია საქართველოს ეკლესიის ცხოვრების ტრადიციაში, განიცადა დაკნინება და დღეს ვდგევართ შიდა საეკლესიო ცხოვრების სისტემური მოწესრიგების აუცილებლობის წინაშე, რაც შესაძლებელს გახდის დროულ და ადეკვატურ რეაგირებას თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებზე. წმიდა სინოდის როლის დაკნინება საეკლესიო ცხოვრების მოწყობის და მართვის საქმეში დამატებით სირთულეებს უქმნის ეკლესიას და მის წევრებს და ეწინააღმდეგება ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მეორე თავის §1, სადაც აღნიშნულია, რომ "საქართველოს ეკლესიაში უმაღლესი ხელისუფლება მოძღვრების, საეკლესიო მმართველობისა და საეკლესიო სამართლის სფეროებში ეკუთვნის საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს." ამ მოთხოვნის იგნორირების შედეგად ეკლესია მოკლებულია

შესაძლებლობას წარდგეს საზოგადოების წინაშე შეჯერებული და დასაბუთებული პოზიციით ყველა მწვავე და მნიშვნელოვან საკითხზე.

2. სინოდალური კომისიების შექმნა, რომლებიც კოორდინაციას და ხელმძღვანელობას გაუწევენ სხვადასხვა მიმართულებით საეკლესიო სტრუქტურების საქმიანობას და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენენ წმიდა სინოდს გაწეული საქმიანობის შესახებ.

3. ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში სათანადო ცვლილებების, შესწორებების, დამატებების შეტანა . . ." და ა.შ.

მოკლედ განვიხილოთ და შევაფასოთ ამ მოთხოვნების არსი და მათში ცხადად თუ შეფარულად გამჟღავნებული მთავარი მიზნები.

1.

რა თქმა უნდა საქართველოს ეკლესიაში მართვის უმაღლეს ორგანოს წმ. სინოდი წარმოადგენს. საპატრიარქო მართვა გულისხმობს, რომ სინოდის თავმჯდომარე პატრიარქია, და რაც მთავარია, სინოდებს შორის ეკლესიის მართვას პატრიარქი ახორციელებს, ხოლო ამ მიზნით საპატრიარქოში შექმნილი სტრუქტურები და სამსახურები ანგარიშვალდებულნი არიან პატრიარქის წინაშე. სწორედ მართვის ამ ტრადიციული ფორმის მოშლას გულისხმობს მიმართვიდან მოყვანილი პუნქტები, რადგან მეუფეების მიერ მოთხოვნილი სინოდალური სამდივნო და კომისიები განახორციელებენ ეკლესიის მართვას, სინოდალური გადაწყვეტილებების აღსრულებას და მათზე კონტროლს, ამავე დროს ისინი ანგარიშვალდებულნი იქნებიან არა პატრიარქის, არამედ სინოდის წინაშე.

ამ მოთხოვნების დაყენებას ხელი შეუწყო ეკლესიის მართვა-გამგეობის მოყვანილი დებულების მცდარმა და ტენდენციურმა გაგებამ და ინტერპრეტაციამ. მათი დაყენების მოტივაციისათვის კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, აუცილებელი იყო შექმნილიყო შთაბეჭდილება ეკლესიაში არსებული ქაოსის, უმართავი სიტუაციისა და კორუფციის შესახებ. ამითვე აიხსნება ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის მიზანშეწონილობა, რომელშიც დასახელებული მეუფეები წამყვან როლს ასრულებდნენ.

ჩვენ რა თქმა უნდა არ ვამბობთ, რომ ეკლესიაში არ არსებობს პრობლემატური საკითხები. მაგრამ საკითხის დაყენებას ეკლესიაში აქვს თავისი ფორმა და მიზანშეწონილობა. მათი დაყენება, განხილვა და გადაწყვეტა ეფუძნება საეკლესიო სამართლის, დიდი სჯულის კანონის ნორმებსა და ეკლესიის უმაღლესი ხელისუფლების კეთილ ნებას იმასთან დაკავშირებით, რომ ყველ პრობლემატური საკითხი განხილულ და გადაწყვეტილ იქნას მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების შესაბამისად. ამ პრინციპების ერთგულებით განვლო საქართველოს ეკლესიამ თავისი მოწამებრივი ისტორიული გზა და დაიცვა დოგმატურად უცდომელი სწავლება, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

2.

მეორე მნიშვნელოვანი საფრთხე, რასაც სამთა მიერ შემოთავაზებული მოდელი შეიცავს, არის მცდელობა იმისა, რომ კომისიებმა, მთავარმა სამდივნომ თავის კონტროლს დაუქვემდებაროს საქართველოს მონასტრები, რომელთაც საეკლესიო სამართლით მინიჭებული აქვთ სრული ავტონომია. საეკლესიო სამართლით ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ეპარქიის მღვდელმთავარს შეუძლია ჩაერიოს მონასტრის ცხოვრებაში, არის შემთხვევა, როდესაც მონასტერში ირღვევა დიდი სჯულის კანონის დებულებები. სამთა მოდელში კი შემოდის სპეციალური კომისია, რომელიც "განახორციელებს მონასტრების მეთოდურ და სამართლებრივ მომსახურებას. ანუ არის მცდელობა, შეიქმნას საბჭოთა პერიოდში კარგად ცნობილი მეთოდისტ-რევიზორთა ინსტიტუტი, რომელიც თავის კონტროლს დაუქვემდებარებს მონასტრებს, მათ შიდა ცხოვრებასა და მართვა-გამგეობას.

3.

წინა პუნქტის მსგავსად, სამთა შემოთავაზებულ მოდელში იქნება კომისია, რომელიც თავის დიქტატს განახორციელებს სამრევლოებზე, საეკლესიო სამშობებსა და კავშირებზე, იმ გაერთიანებებზე, რომლებიც ყველა დროში ასრულებდნენ ეკლესიის ფხიზელი დარაჯის ფუნქციას და რომლებსაც აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქები თავიანთ 1848 წ. 6 მაისის ეპისტოლეში ეკლესიის სხეულს უწოდებენ: **“ჩვენში არც პატრიარქებსა და არც (საეკლესიო) კრებებს არასდროს შეეძლოთ შემოეტანათ რაიმე სიახლე, იმიტომ, რომ კეთილმსახურების დამცველ-შემნახავი ჩვენში არის თვით სხეული ეკლესიისა, ანუ თვით მორწმუნე ერი, რომელსაც ყოველთვის სურს თავისი სარწმუნოების უცვალებლად და წმიდა მამათა რწმენასთან თანახმიერად დაცვა”** (ეპისტოლე, § 17).

იგივეა აღნიშნული 2004 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თესალონიკში ჩატარებული "მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო კონფერენციის" დასკვნით დოკუმენტში, რომელშიც აღნიშნულია, რომ მწვალებლებთან ეკუმენისტური **“ერთიანობის მისაღწევად იკონომიებსა და სარწმუნოების საკითხებში გადახვევებს ყოველთვის უკუაგდება ეკლესიის სინდისის ფხიზელი დარაჯი – მრევლი.”**

საქართველოშიც, განვლილ პერიოდში ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ეკუმენისტური შეთქმულების მოგერიებასა და მის წარუმატებლობაში გარკვეული როლი ეკლესიის მრევლმა და საეკლესიო კავშირებმაც შეასრულეს. სავარაუდოა, რომ სწოდედ ეს აღეგებს ხსენებული ანტიეკლესიური კამპანიის მონაწილე სამ მღვდელმთავარს და ამიტომ ცდილობს თავისი შემოთავაზებული მოდელის განხორციელებით მთავარ სამდივნოს კონტროლსა და კომისიებს დაუქვემდებაროს სამრევლოები, საეკლესიო ძმობები და გაერთიანებები.

4.

სამთა შემოთავაზებულ მოდელში არსებობს განათლების კომისია, რომლის მოქმედების არეალი და სივრცე შემოიფარგლება სასულიერო და საეკლესიო სასწავლებლებით. საერო სასწავლებლებზე – სკოლებზე და უმაღლესებზე - ზრუნვაზე კი სამთა მოდელში არაფერია ნათქვამი. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ სამთაგან ერთ-ერთი, მეუფე გრიგოლი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საშუალო განათლების სისტემის რეფორმირებისათვის წარმოდგენილი კანონპროექტის აქტიური მხარდამჭერი იყო, კანონპროექტისა, რომელიც ფეხქვეშ თელავს ქართველი ხალხის სულიერ და ეროვნულ ღირსებებსა და ტრადიციებს. მეუფე გრიგოლი ასევე წარმოდგენს სამინისტროსა და მათ მიერ წარმოებული რეფორმის ღობისტს საქართველოს ეკლესიაში, ხელშემწყობი იმ რეფორმისა, რომელიც სკოლებიდან და მოზარდი თაობის ცნობიერებიდან დევნის მართლმადიდებლობასა და ეროვნულ ცნობიერებას, სამაგიეროდ სკოლის კარს უხსნის სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების პროზელიტურ საქმიანობას, მოზარდი თაობის გამრყენელ პროგრამებსა და სწავლებებს, როგორცაა სექსუალური განათლება, სწავლებები უსაფრთხო სექსზე და ქალწულობის უსაფრთხოდ დაკარგვის ხერხებზე, ჰომო და ტრანსსექსუალიზმის პროპაგანდას, საუბრებს ახლო ნათესავებს შორის სექსუალურ მიდრეკილებებზე და ა.შ.

ამ მოღალატური საქმიანობის შედეგი უკვე სახეხავა: კათოლიკური დახმარების სამსახური (CRS) მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, ახორციელებს 5,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტს სახელწოდებით "ვეშენოთ მომავალი". მოგვყავს ამონარიდი პროგრამის მოკლე აღწერიდან: **“პროგრამა იმუშავებს 203 სკოლაში დაფუძნებულ და ღონისძიებებზე ორიენტირებულ “მოზარდთა კლუბებში”, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ გეოგრაფიულ რეგიონებში დაარსდება . . . “ვაშენოთ მომავალი” შეარჩევს 150 “ინსტრუქტორ-ხელმძღვანელებად” წოდებულ სკოლის მასწავლებლებს . . . ასევე 400-მდე 18-19 წლის**

"ასისტენტებად" წოდებულ ახალგაზრდებს . . . პროგრამის უშუალო მინაწილენი იქნებიან "მოზარდთა კლუბის" წევრები".

აი, ასეთ დიდ პროზელიტურ სივრცეს იძენს კათოლიკური დახმარების სამსახური საქართველოს სკოლებში. ნათელია, რომ სასკოლო რეფორმა და პროგრამა "ვაშენოთ მომავალი" ცალსახად გილისხმობს მოწოდებას: ვაშენოთ მართლმადიდებლობისგან თავისუფალი საქართველოს მომავალი. აი ასეთი რეფორმებისა და პროგრამების ხელშემწყობი და ღობისტია სამთა ერთ-ერთი წევრი.

5.

ასევე დიდი საფრთხის მატარებელია სამთა მიმართვაში ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც ეკლესიამ ხელისუფლებას უნდა მოთხოვოს, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას კომპენსაციის თანხა ჩამორთმეული ქონებისათვის, მატერიალური და მორალური ზიანის მიყენებისათვის. ბიუჯეტიდან მიღებული თანხა უნდა გაუნაწილდეს ეპარქიებს. ეს ერთი შეხედვით მიმზიდველი წინადადებაა დიდ საფრთხეს შეიცავს, ვინაიდან ეკლესიას სახელმწიფოზე ფინანსურად დამოკიდებულს ხდის. თუმცა სამნი ამის უარყოფას დემაგოგიური მსჯელობით ცდილობენ. კომპენსაციის შეფასება, ფულის მიღება და განაწილება ეპარქიებში დიდ კორუფციულ საცდურსა და რეალურ საფრთხეს ქმნის. ამას გარდა კომპენსაციის დანიშვნა, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ეკლესია ვედარასოდეს დაიბრუნებს თავის კუთვნილ ქონებას, მიწებს, ნაგებობებს, ფასდაუდებელ ხატებსა და სხვა სულიერ სიმდიდრეს, იმ განძს, რომელსაც მუშტრის თვალთ უყურებენ მსოფლიოს ფულიანი წრეები.

სინამდვილეში ეკლესიამ ხელისუფლებისაგან მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება უნდა მოითხოვოს, დაბრუნებული ქონება კი თავად განკარგოს. ამუშაოს ეს ქონება, მიიღოს სარგებელი, მათ შორის ფინანსურიც, იმისათვის, რათა შეძლოს თავისი ისტორიული მისიის – ერის სულიერი წინამძღოლისა და პატრონის ფუნქციის შესრულება. ამ მოთხოვნის სამართლიანობისა და აღსრულების წინაპირობასა და შესაძლებლობას კონკორდატი - სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება იძლევა.

6.

სამთა წევრები ასევე მოითხოვენ დასახელებული კონსტიტუციური შეთანხმების შესწორებას იმ მიზნით, თითქოს ამ შეთანხმებით მღვდელმთავართა უფლებები შეზღუდულია, იმდენად, რომ ეს მათ მოციქულებრივ ხელდასხმას არ შეეფერება. საკითხავია, ვინ ან რომელი შეთანხმება ზღუდავს მღვდელმთავრებს იმ უპირველესი მისიის აღსრულებაში, რომელიც სწორედ მოციქულებრივი ხელდასხმიდან და მემკვიდრეობითობიდან მომდინარეობს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა მართლმადიდებლობის, ეკლესიის სწავლების მოციქულებრივი სიწმინდით დაცვას გულისხმობს. როგორ შეიძლება ეკუმენისტ-მოდერნისტი მღვდელმთავრები მოციქულებრივ მისიაზე საუბრობდნენ, მოციქულთა შთომამავლობას იჩემებდნენ, მაშინ როდესაც ისინი ეკლესიის სწავლების შეზღაღვას ცდილობენ, ხოლო მათი თანამოაზრეები აფრიალებენ ღოზუნგს "რეფორმაცია ან სიკვდილი", რაც ეკლესიის მტრების ენაზე თარგმანებით ნიშნავს "სიკვდილი მართლმადიდებლებს"; მაშინ როდესაც ისინი ცრუობენ, თითქოს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (ემს) იმიტომ მიელტვიან და იმიტომ მოუწოდებენ საქართველოს ეკლესიას ემს-ში დაბრუნებას, რომ დაამოწმონ ჭეშმარიტება, სინამდვილეში კი ემს-ში ქადაგება და პროზელიტიზმი აკრძალულია და უკვე არც ხდება, სამაგიეროდ წარმოებს ერთობლივი ღოცვები და ადგილი აქვს ერთობლივ ზიარებასაც, რაც დაგმობილია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. საინტერესო კი ის არის, რომ მოციქულებრივი მისიის – **"წარველით და მოიმოწაფენით წარმართნი"** (. . .) – აღსრულებას სამთა წევრები ნაკლებად ელტვიან, რასაც, გარდა დასახელებული ფაქტებისა, ისიც მოწმობს, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, მეუფე ზენონომა, არქიმანდრიტად ყოფნის დროს, " სხვა კონფესიის წარმომადგენლებთან ერთად თავისი

ხელმოწერით "დაამშვენა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც თავადაც უარს ამბობს სწორედ მოციქულებრივი მისიის აღსულებაზე – პროზელიტიზმზე – არა თუ სხვა ქვეყანაში, არამედ თავის ქვეყანაში, მართლმადიდებლურ საქართველოში. არ ვიცით, რამდენად ერთგულად ასრულებს მეუფე ზენონი თავისი ხელმოწერით დადასტურებულ შეთანხმებას, სამაგიეროდ ვატიკანი, პაპისტები, სექტები და ყველა ჯურის ურჯულონი რომ არ ასრულებენ, ეს ფაქტია - ისინი დროს არ კარგავენ და იტაცებენ მართლმადიდებელ მრევლს, თუ პროზელიტიზმით, თუ ფულით, თუ მოტყუებითა და თუ ძალადობით.

ისიც საინტერესოა, თუკი სხვა ეპარქიებში შესაძლებელია მოციქულებრივი მისიის აღსრულება, მიმდინარეობს აღმშენებლობა - პირველ რიგში შენდება ეკლესია-მონასტრები და არა (საეკვო წარმომავლობის ფულით) ძვირფასი რეზიდენციები და საკუთარი აპარტამენტები, თუკი სხვაგან მასობრივად ინათლებიან წარმართნი, მეუფე ზენონის ეპარქიაში კი, სადაც მრავლად არიან ასეთნი – ასეთ მოვლენასა და მასობრიობას რატომ არა აქვს ადგილი? რა, რომელიმე დოკუმენტში რაღაც დებულების არ არსებობის გამო ხდება ეს? განა მოციქულები ასეთი დოკუმენტების საფუძველზე ასრულებდნენ თავის უპირველეს მოვალეობას და არა იმ პირობებში, როდესაც მათ დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, სჯიდნენ და ხოცავდნენ? ნუთი თანამედროვე, მოდერნისტული გაგებით სამღვდელმთავრო მოვალეობა კომერციული თუ კერძო ინტერესების მქონე "ჰუმანიტარული" ტვირთების შემოტანას გულისხმობს?

არსებობს სხვა საფრთხეებიც, რასაც სამთა მიმართვით შემოთავაზებული ეკლესიის მართვის მოდელი შეიცავს. პირდაპირ უნდა ითქვას: ეს მიმართვა და სამთა შემოთავაზება წარმოადგენს მართლმადიდებლობის, საქართველოს ეკლესიისა და მისი პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ახალი ტალღის აგორებისა და "ხავერდოვანი" რეკოლუციის განხორციელების მცდელობას. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება. დიდი ძალისხმევა და ფინანსებია მიმართული ეკლესიის იმ გარე სივრცის შემცირებაზე, რომელზეც მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა ვრცელდება. თუ ეკლესიაშიც განხორციელდა ეკუმენისტურ-მოდერნისტული გადატრიალება, მაშინ ერი და ქვეყანა რეალური სულიერი საფრთხის წინაშე დადგება. ჩვენი ღრმა რწმენით კი ამას არ დაუშვებს ღმერთი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. თუკი გარკვეული ძალები თავს არ ანებებენ ეკლესიის წინააღმდეგ ქმედებებსა და ცილისმწამებლურ კამპანიებს, არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანას ღმრთის რისხვა დაატყდეს თავს კატასტროფებისა და განსაცდელების სახით. ნუ იყოფინ!

* * *

ეს წერილი დაიწერა 2005 წლის გაზაფხულზე. 2009 წლის მიწურულს კი სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ვარაუდი გამართლდა – ქვეყანას მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს, – დაგკარგეთ ტერიტორიები, ასობით სოფელი, დევნილთა რიგებს მიემატა ათიათასობით ადამიანი, დაგვიხოცეს მრავალი ახალგაზრდა მებრძოლი და მშვიდობიანი მოსახლეობა. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ მსოფლიომ ჩვენი ქვეყანა, საქართველო შერაცხა აგრესორად და გენოციდის ინიციატორად. ამაზე მეტი სასჯელი რა უნდა იყოს ჩვენთვის. თუმცა უარესი დაგვემართება, თუკი გონს არ მოვალთ.